



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის 6 ივლისი
 № 733 დადგენილებით

მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2018 წლის 2 აპრილის
 № 01-05-04/95
 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

საჯარო მმართველობა

Public Administration

ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები

Faculty of Business Technology

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ოთარ ქოჩორაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საჯარო მმართველობის მაგისტრი
 (Master of Public administration)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა „საჯარო მმართველობის საფუძვლები“). გამოცდის საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება

წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტია - 75 კრედიტი, მათ შორის არჩევითი სასწავლო კურსები - 4 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი - 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს: სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.

სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. აქედან, ერთი კვირა ეთმობა შუასემესტრულ გამოცდას. XVII კვირა ეთმობა დასკვნითი გამოცდისათვის მზადებას, XVIII-XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას.

პირველი სემესტრი მოიცავს ექვს სავალდებულო სასწავლო კურსს (ორი 5 კრედიტი, ოთხი 4 კრედიტი), ერთ არჩევით (4 კრედიტი) სასწავლო კურსს .

მეორე სემესტრი მოიცავს ხუთ სავალდებულო სასწავლო კურსს (ხუთი 5 კრედიტი) და სამაგისტრო კვლევის პროექტ/პროსპექტუსს (5 კრედიტი).

მესამე სემესტრი მოიცავს ოთხ სავალდებულო (ორი 6 კრედიტი, ორი 4 კრედიტი), თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმს (10 კრედიტი).

მეოთხე სემესტრში მაგისტრანტი ასრულებს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი.

ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ გამოსცემს დეკანი მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად (მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა იხილეთ:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danarTi_3_Sd.pdf

შუალედური შეფასების მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 60 ქულა, აქედან: შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულას, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 15 ქულა; მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა - 30 და მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა - 15; დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა - 40, მინიმალური დადებითი ქულაა - 20.

დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

კვლევითი კომპონენტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს. მისი სავალდებულო ელემენტებია:

სამაგისტრო კვლევის პროექტი/ პროსპექტუსი (5 კრედიტი)

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი (10 კრედიტი)

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი).

მაგისტრანტი კვლევით კომპონენტს ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf

სამაგისტრო კვლევის პროექტი/ პროსპექტუსს მაგისტრი იწყებს სწავლების პირველ წელს, მეორე სემესტრში და წარმოდგენს მიმოხილვითი კვლევისა და ანალიზის შედეგს, სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ მონახაზს. პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის აქტუალობა, შერჩეული თემის თეორიული, პრაქტიკული ღირებულება. პროსპექტუსი უნდა მოიცავდეს შესაბამისი ლიტერატურის დამუშავების შედეგებსა და აუცილებელ ბიბლიოგრაფიას; ჩამოყალიბებული უნდა იყოს კვლევის ძირითადი საკითხები და სამუშაო გეგმა.

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა - კოლოკვიუმს მაგისტრანტი იწყებს სწავლების მეორე წელს, მესამე სემესტრში და გულისხმობს სამაგისტრო თემასთან ან/და მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას. კოლოკვიუმზე მან უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოადგინოს მიღებული შედეგები.

თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის შედეგების წარმოდგენა/პრეზენტაცია, კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლება, მუშაობის დროს წამოჭრილი საკითხების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და გადაჭრა. პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.

თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში

საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში

დეტალური ინფორმაცია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/pdf/magist_debuleba_dan5_2017_SD.pdf

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებსაც საშუალება ექნებათ დასაქმდნენ საჯარო სამსახურში, ასევე მმართველობითი სფეროს სხვა რგოლებში. ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს სტუდენტებს მართვის მეთოდოლოგია, მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევები მმართველობით სფეროში. საშუალება მისცეს მათ მეცნიერ-პედაგოგთა და პრაქტიკოსთა დახმარებითა და კონსულტაციებით ძირფესვიანად გაეცნონ და აითვისონ სხვადასხვა მმართველობითი დონეებისათვის დამახასიათებელი სისტემები, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების, ანალიზის, სტრატეგიული და კალენდარული დაგეგმვის თავისებურებები და ტექნოლოგიები.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება - აქვს საჯარო სამსახურის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას. შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება ახალი, ორიგინალური იდეებისა და წინადადებების გენერირებისათვის.

კარგად აქვს გაცნობიერებული სფეროს პრობლემები და გამოწვევები, მათი გადაჭრის ოპტიმალური გზები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტს შეუძლია მიუჩვეველ და არაორდინალურ გარემოში სწორი ორიენტირება. მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; საჯარო მმართველობის სფეროს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება.

სტუდენტს აქვს საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ კვლევითი და მეცნიერული მიღწევების ცოდნა და მისი ანალიზის უნარი; შეუძლია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობისათვის მზადყოფნა.

დასკვნის უნარი

სტუდენტს შეუძლია საჯარო მმართველობის სისტემაში მიმდინარე მოვლენების, პროცესების ანალიზი და სათანადო დასკვნების შემუშავება, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და ანალიზი. საჭირო გადაწყვეტილებების პროექტების შემუშავება და ექსპერტიზა; პრაქტიკაში ინოვაციური მენეჯმენტის პრინციპების გამოყენება; გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და საჭიროების შემთვევაში

ცვლილებათა შეტანა და/ან კორექტირება.

კომუნიკაციის უნარი

სტუდენტს შეუძლია კოლეგებთან, საზოგადოებასთან, პროფესიონალებთან და დაინტერესებულ პირებთან მოსაზრებების თავისუფალი გაზიარება, არგუმენტირებულად და მიზანმიმართულად. კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, საქმიანი დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა. დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; საჯარო გამოსვლა;

სწავლის უნარი – სასწავლო პროგრამის ათვისების შესაბამისად სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებელი სწავლა, დაოსტატება, მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპების განხორციელება. საკუთარი დღის წესრიგის უნარიანი დაგეგმვა.

უნარი აქვს თავად აირჩიოს სწავლის გაგრძელების შემდგომი მიმართულება; ცხოვრების სტილად აქციოს „მუდმივი სწავლის“ პრინციპები; სწავლა განაგრძოს უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ღირებულებები – სტუდენტს შეუძლია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ჩვენი საზოგადოებისათვის ახალი, დემოკრატიული თანაცხოვრებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. არის საქართველოს კონსტიტუციის ერთგული და განუხრელად იცავს მას;

შეუძლია ერთგულება დემოკრატიული პრინციპებისადმი; საქართველოს ერთიანობისა და პროგრესისათვის მუდმივი ზრუნვა; უკომპრომისობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის საქმეში; ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების პატივისცემა; კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის მიღწევისათვის მუდმივი შრომა; პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
 საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აქტივობაა. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უფროსს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება –სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ- აზერბაიჯანის

კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად; – შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე, როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს აქტივობა გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ინდუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს აქტივობა ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი. ამ აქტივობას მიეკუთვნება თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წერითი მუშაობა გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

ახსნა-განმარტება – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

- სახელისუფლო სტრუქტურებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და დაწესებულებებში;
- საკუთრების ნებისმიერი ფორმის ორგანიზაციაში მმართველობით თანამდებობებზე;
- საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 23

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			I	II	III	IV
1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	არ აქვს	5			
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	არ აქვს		5		
3	მოლაპარაკებების ხელოვნება	არ აქვს	5			
4	საზოგადოებრივი ურთიერთობები და პოლიტიკა	არ აქვს	4			
5	სტატისტიკა სახელმწიფო მართვაში	არ აქვს	4			
6	სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები	არ აქვს		5		
7	სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში	არ აქვს			6	

8	სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მიღწევის თანამედროვე სისტემები	სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები			4	
9	საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები	არ აქვს	4			
10	საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემები	არ აქვს			6	
11	სამოქალაქო საზოგადოება და თანამედროვე დემოკრატია	არ აქვს		5		
12	სოციალური პოლიტიკა	არ აქვს	4			
13	სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი	არ აქვს			4	
14	მართვის თანამედროვე მეთოდები ადგილობრივ ორგანოებში			5		
15	ინოვაციური მენეჯმენტი	არ აქვს		5		
არჩევითი საგნები						
16	საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა	არ აქვს	4			
17	სერვის მენეჯმენტი	არ აქვს				
			სემესტრში	30	25	20
			სულ	75		
კვლევითი კომპონენტი:						
	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	სავალდებულო სასწავლო და კვლევითი კონპონენტები				30
			სულ სემესტრში	30	30	30
			სულ წელიწადში	60		60
			სულ	120		

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	x	x		x	x	x
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული,	x	x	x	x		

	რუსული)						
3	მოლაპარაკებების ხელოვნება	x	x		x		x
4	საზოგადოებრივი ურთიერთობები და პოლიტიკა	x	x		x	x	x
5	სტატისტიკა სახელმწიფო მართვაში	x	x	x	x		
6	სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები	x	x	x	x	x	x
7	სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში	x	x	x	x	x	x
8	სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მიღწევის თანამედროვე სისტემები	x	x	x			
9	საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები	x	x	x	x		x
10	საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემები	x		x	x		x
11	სამოქალაქო საზოგადოება და თანამედროვე დემოკრატია	x	x	x			x
12	სოციალური პოლიტიკა	x	x	x	x		x
13	სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი	x		x	x		x
14	მართვის თანამედროვე მეთოდები ადგილობრივ ორგანიზაციებში	x	x	x	x		x
15	ინოვაციური მენეჯმენტი	x	x	x	x	x	
16	საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა	x	x		x		
17	სერვის მენეჯმენტი	x	x	x	x		x
კვლევითი კომპონენტი							
	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	x	x	x	x	x	x
	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკიუმი	x	x	x	x	x	x
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	x	x	x	x	x	x

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	LEH12412G1-P LEH12612G1-P LEH12212G1-P LEH12812G1-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	5/125			45				2	2	76
2	LEH12512G1-LP LEH12712G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და	5/125	15		30				2	2	76

	LEH12312G1-LP LEH12912G1-LP	პრაქტიკა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)										
3	BUA84413G1-LS	მოლაპარაკებების ხელოვნება	5/125	30	15					1	1	78
4	BUA84513G1-LS	საზოგადოებრივი ურთიერთობები და პოლიტიკა	4/100	15	15					1	1	68
5	BUA84613G1-LS	სტატისტიკა სახელმწიფო მართვაში	4/100	15	15					2	2	66
6	BUA84713G1-LS	სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები	5/125	30	15					2	2	76
7	BUA84813G1-LS	სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში	6/150	30	15	15				2	2	86
8	BUA84913G1-LS	სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მიღწევის თანამედროვე სისტემები	4/100	15		15				2	2	66
9	BUA85013G1-LP	საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები	4/100	15		15				1	1	68
10	BUA85113G1-LS	საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემები	6/150	30	30					1	1	88
11	BUA85213G1-LS	სამოქალაქო საზოგადოება და თანამედროვე დემოკრატია	5/125	15	30					2	2	76
12	BUA85313G1-LP	სოციალური პოლიტიკა	4/100	15		15				1	1	68
13	BUA85413G1-LS	სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი	4/100	15	15					1	1	68
14	BUA85513G1-LS	მართვის თანამედროვე მეთოდები ადგილობრივ ორგანოებში	5/125	15	30					1	1	78
15	BUA33213G1-LSP	ინოვაციური მენეჯმენტი	5/125	30	12	3				1	1	78
		არჩევითი საგნები										
16	BUA85613G1-LP	საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა	4/100	15		15				1	1	68
17	BUA33613G1-LS	სერვის მენეჯმენტი	4/100	15	15					1	1	68

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს
სხდომაზე 10.05.2011წ.
ოქმი №22
ფაკულტეტის საბჭოს
თავმჯდომარე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მოდულირებულია

ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
28 მარტი 2018 წელი ოქმი №8

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე